კომპანიაში IT-სტრატეგიის შექმნის აქტუალური საკითხები

გულნარა ჯანელიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე პერიოდში IT-სისტემები წარმოადგენს არა მარტო კომპანიის მართვის ეფექტურობის ამაღლების, არამედ ახალი კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ინსტრუმენტს. შესაბამისად IT-სისტემების განვითარება უწყვეტ კავშირშია კომპანიის ბიზნეს-სტრატეგიასთან. კარგად აწყობილი IT-სტრატეგია ხელს უწყობს კომპანიაში ბიზნესის ღირებულების ზრდას და მის საინვესტიციო მიმზიდველობას. ნაშრომში წარმოდგენილია IT-სტრატეგიის ძირითადი მიზნები და მიმართულებები. შემუშავებულია IT-სტრატეგიის შექმნის პროცესის ამსახველი სქემები. განხილულია პრობლემები, რომლებიც ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია.

საკვანძო სიტყვები: IT-სტრატეგია. კომპანიის სტრატეგია.

1. შესავალი

კომპანიის განვითარების დაჩქარებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი უდავოა. თანამედროვე პერიოდში იგი გადაიქცა კომპანიის განვითარების სტრატეგიის გასაღებურ შესაძლებლობად, როგორიცაა ბიზნეს-პროცესების მხარდაჭერა. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვის პროცესი საკმაოდ რთული და სარისკოა, რაც მრავალ ბიზნეს-მიზანს მიღწევის საფრთხეს უქმნის. კომპანიების უმრავლესობა აღიარებს, რომ იტ-ინფრასტრუქტურის ექსპლოატაცია არის ბიზნეს-პროცესების წარმატების საფუძველი და მის მართვას იწყებენ ისეთივე მწარმოებლურობით, როგორც მართავენ სხვა ბიზნეს-პროცესებს. კომპანიის დასახული მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი ფაქტორია იტ-სტრატეგიის შექმნა და რეალიზაცია, რომელიც რაციონალურად უნდა იყენებდეს ორგანიზაციაში არსებულ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და მხარს უჭერდეს მის განვითარებას. ამდენად იტ-სტრატეგიის ძირითადი მიზნებია:

- კომპანიის სტრატეგიის და ამოცანების შესაბამისობა;
- საქმიანობის ყველა შესაძლებლობის გამოყენების და შესაბამისად, მაქსიმალური მოგების მიღების პირობების შექმნა;
- იტ-რესურსების რაციონალური გამოყენება;
- იფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული იტ-რისკების საიმედო მართვა.

2. ძირითადი ნაწილი

იტ-სტრატეგიის შექმნის პროცესი იწყება კომპანიაში არსებული ინფორმაციული ტექნო-ლოგიებისთვის მიზნების დადგენით და განვითარების საწყისი მიმართულების განსაზღვრით. შემდგომ ეტაპზე უნდა დადგინდეს საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები. მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის შემდეგ მართვის მთავარი ამოცანაა დასახული მიზნების მიღწევა, ხოლო დირექციის - მიზანმიმართული ცვლილებების ჩატარება, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების შემადგენლობაში, ასევე ფუნქციებში[1]. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი მიმართულებები:

- მენეჯმენტის ხარისხის ამაღლება;
- დანახარჯების შემცირება;
- რისკების მართვა.

იტ-სტრატეგიის შექმნის პროცესი წარმოდგენილია 1-ელ ნახაზზე.



ნახ.1. IT-სტრატეგიის შექმნის პროცესი

თანამედროვე პერიოდში კომპანიის მართვის ყველა დონე ჩართულია ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მართვის პროცესში. მმართველობამ იტ-სტრატეგიის შექმნისას უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები:

- შეათანხმოს იტ-სტრატეგია კომპანიის სტრატეგიასთან და დანერგოს ამ შესაბამისობის მაჩვენებელი გამჭვირვალე პროცედურები;
- იტ-სტრატეგიის რეალიზაციის ამოცანებს კორექტირება გაუკეთოს არსებულ და პერსპექტიულ სისტემებს შორის ინვესტიციის ბალანსის უზრუნველყოფის გათვალისწინებით;
- თვალყური მიადევნოს, რათა ინფორმაციულ ტექნოლოგიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მიმართული იყოს კლიენტის მოთხოვნების დაკმაყოფილების ხარისხის ამაღლებაზე;

ზემოაღნიშნული ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს შემდეგ მმართველ პროცესებს:

- ხელმძღვანელობის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა და მხარდაჭერა ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგიულ როლთან მიმართებით;
- კომპანიაში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის სარგებლიანობის გაცნობიერება;
- იტ-სფეროში ხელმძღვანელი პრინციპების შემუშავება მოგების მაქსიმიზებიდან გამომდინარე;
- კომპანიის ძირითად საქმიანობაზე იტ-ინფრასტრუქტურის ზემოქმედების მაჩვენებლების მონიტორინგი;
- იტ-პროექტებისაგან მიღებული მოგების შეფასება.

IT-სტრატეგიის შექმნის მთავარ ელემენტს წარმოადგენს მოწინავე კომპანიების გამოცდილება. იგი გვიჩვენებს თუ რა სახის ქმედებებს ასრულებდნენ ლიდერები ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაში. აქედან შეიძლება გამოვყოთ:

- იტ-სტრატეგიის და კომპანიის მიზნების შესაბამისობაში მოყვანა;
- კლიენტებისა და მომსახურეობის მიმართულებით ცოდნის ბაზების ზრდის პირობების შექმნა;
- მიზნებისა და ამოცანების დაჟინებით და ცხადი სახით გავრცელება მთელი კომპანიის საზღვრებში და იმის გარანტიის უზრუნველყოფა, რომ იგი გასაგებია და შეიცავს ყველა დაინტერესებული პირის მისწრაფებას;
- მართვის პრაქტიკის შემუშავება და გავრცელება, რომელიც გამჭვირვალობის ამაღლების, სირთულის შემცირების, მოქნილობის უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნქციონირების მახასიათებლების გაზომვა, როგორიცაა: კლიენტების დაკმაყოფილება, პროცესების ეფექტურობა, სამუშაო დროის გამოყენების ეფექტურობა, მომსახურეობის ხარისხი, ჩატარებული ტრანზაკციების მოცულობა, კითხვაზე პასუხის დროის მაჩვენებელი, დანართის წვდომის ხარისხი;
- მთავარი მენეჯერის დანიშვნა, რომელიც იქნება დამაკავშირებელი რგოლი ძირითად საქმიანობასა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს შორის;

– რისკების მართვა და მონიტორინგის ავტომატიზების პრაქტიკის გაფართოვება.

იტ-სტრატეგიის შემუშავებისას გასათვალისწინებელია შემდეგი მოთხოვნები: სისტემაში უნდა მოიაზრებოდეს კომპანიის მზარდი მოთხოვნილებები, სისტემა უნდა იყოს მოქნილი ანუ ადვილად გადაწყობადი გარე და შიდა პროცესების ცვლილებების შესაბამისად, სისტემის სხვადასხვა კომპონენტები უნდა იყოს თავსებადი და შეესაბამებოდეს ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნებს, ამა თუ იმ გადაწყვეტის გამოყენება გამართლებული უნდა იყოს ეკონომიკურად[1,2].

ინფორმაციული ტექნოლოგიების მმართველ მოქმედებებს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები, საჭირო მეთოდური და ტექნიკური უზრუნველყოფა, ეფუძნებოდეს კომპანიის მოთხოვნილებებს და ჰქონდეს გამჭვირვალე აღრიცხვიანობა. აუდიტორები უნდა ფლობდნენ საკმარის პროფესიონალურ მონაცემებს და კვალიფიციურად ორიენტირდებოდნენ არსებულ ტექნოლოგიურ რისკებში. საჭიროა პარტნიორებთან და დამკვეთებთან მყარი ურთიერთობების შენარჩუნება, რაც უზრუნველყოფს კომპანიის გარანტირებულ განვითარებას. კომპანიის მიზნებზე, სტრატეგიულ ინიციატივებზე კონცენტრაცია, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება მიმართულია ეფექტურობის გაუმჯობესებისკენ[3].



ნახ.2. IT-სტრატეგიის შექმნის მოქმედებები

იტ-სტრატეგიის შექმნა მოითხოვს მოქმედებების ნუსხის შედგენას, რომლის მიზანია კომპანიის საქმიანობის გაუმჯობესება. მე-2 ნახაზზე წარმოდგენილია იტ-სტრატეგიის შექმნისას მოქმედებების მიმდევრობა. მიზანშეწონილია მოქმედებების მაჩვენებლებით სარგებლობა, რომელიც კომპანიის საქმიანობაში მისი როლის განსაზღვრის საშუალებას იძლევა. ხშირად ეს მაჩვენებლები შეესაბამება წარმატებების კრიტიკულ ფაქტორებს, როგორიცაა: იტ-პროცესების რენტაბელურობის გაუმჯობესება, სისტემური შეფერხების ხანგრძლივობა, საინფორმაციო სისტემის გატარების უნარი და კლიენტების მოთხოვნებზე პასუხის დრო, მენეჯმენტზე დანახარჯების შემცირება, კლიენტების მომსახურეობის შეთავაზების ახალი არხების შექმნა.

აუცილებელია აღვნიშნოთ ზოგიერთი აქტუალური პრობლემა, რომელთა შესწავლას ჯერჯერობით არ ეთმობა საკმარისი დრო:

– იტ-ქვესტრუქტურის ინტეგრირება კომპანიაში;
– სტრატეგიის შემმუშავებლის პასუხისმგებლობა პროექტის დანერგვაზე და პროგნოზი პროგრამის დანერგვის ეფექტურობაზე;
– დასავლური ინფორმაციული ტექნოლოგიების ადაპტაცია ადგილობრივ სპეციფიკასთან;
– ახალი ტექნოლოგიების შექმნისას თანამშრომლების ფსიქოლოგიური მომზადება;
– გარე კონსალტინგის წარდგენა, როგორც კომპანიისათვის დამატებითი შემოსავლის შესაძლებლობა.

იტ-სტრატეგია საშუალებას იძლევა განისაზღვროს თუ რომელი ინფორმაციული ინსტრუმენტები – პროგრამები, სერვისები, მომსახურეობები, სპეციალისტები – სჭირდება კომპანიას თავისი ბიზნეს-მიზნების მისაღწევად. იტ-სტრატეგიის დახმარებით შესაძლებელია კვალიფიციურად იქნას გამოყენებული ტექნოლოგიები, როგორც დისციპლინის აუცილებელი კომპლექსი, რომელიც შეისწავლის გამოთვლით ტექნიკაში გამოყენებული ინფორმაციის შენახვის

და დამუშავების მეთოდებს, ასევე მასთან დაკავშირებულ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ პრობლემებს.

3. დასკვნა

ამგვარად, თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაციული ტექნოლოგიები გვევლინება ბიზნესის წარმატებულად წარმოების განუყოფელ ნაწილად, ხოლო იტ-სტრატეგია წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას კომპანიის ბიზნეს-ამოცანების გადაწყვეტისათვის, რაც მას საშუალებას აძლევს ბაზარზე იყოს ადეკვატური და ამაღლებს მის კონკურენტუნარიანობას.

ლიტერატურა:

1. Михайлов А. ИТ Стратегия: что это такое, варианты разработки, основные разделы. М., 2013

2. Михайлов А. Семь подходов к разработке ИТ-стратегий. Ж-л "Директор информационной службы", N2, 2004. с. 48-52.

3. Стратегии информационных технологий: http://www.irkinfo.ru/strategii-informatsionnykh-tekhnologii.html

АКТУАЛЬНЫЕ ВОПРОСЫ СОЗДАНИЯ IT-СТРАТЕГИИ В КОМПАНИИ

Гульнара Джанелидзе
Грузинский Технический Университет

Резюме

В современном периоде IT-системы – это инструмент не только повышения эффективности управления предприятием, но и создания новых конкурентных преимуществ. Следовательно, развитие IT-системы неразрывно связано с бизнес-стратегией компании. Хорошо выстроенная IT-стратегия непосредственно способствует росту стоимости бизнеса и его инвестиционной привлекательности. В статье представлены основные цели и задачи IT-стратегии. Разработаны схемы процесса создании ит-стратегии. Представлены проблемы, которые пока еще в процессе изучения.

TOPICAL ISSUES OF CREATION OF IT STRATEGY IN THE COMPANY

Gulnara Janelidze
Georgian Technical University

Summary

In the modern environment IT systems is a tool not only to increase effectivness of a business managment, but also to create new competitive advantages. Therefore, IT system development is tightly linked with a company's business strategy. Well built IT strategy directly promotes growth of value of business and its investment attractiveness. In the article main objectives and problems of IT strategy are presented as well as worked out schemes of the build up process of the IT strategy. Article also includes problems which is in studying process.